ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 4723187001**

თარიღი:**06/07/2023**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

დ. ჩოხატაური

27 ივნისი 2023 წელი

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე.

ესწრებოდნენ: დავით ტყეშელიაძე, ლაშა ირემაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე,ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე,ბაჩო ახალაძე;

არ ესწრებოდნენ: მაია გიორგაძე,დავით გუდავაძე,მიხეილ თავართქილაძე,

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ჯუმბერ ბერძენიშვილმა, ლაშა ირემაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მოისმინეს:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსნებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ და განმარტა, როგორც საკითხის შესწავლისას გაირკვა, ამ ეტაპზე წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით გადაიდოს ინიციატივის განხილვა კონკრეტული გარემოებების გამორკვევამდე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პიონერის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე, გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი საკრებულოს ბიუროს მიერ არ იქნეს შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

II საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის

დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსნებელი:მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ,დავით ტყეშელიაძემ, ლაშა ირემაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგით წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა და გადაწყვიტა დასამტკიცებლად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.(თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი